

၉၈၈၅၅၅



ჯონ ფაულზი

ფრანგი  
ლეიტენანტის  
საყვარელი

დიდგენის  
ბიბლიოთეკა

ჯონ ფაულზი  
ფრანგი ლეიტენანტის საყვარელი

John Fowles  
THE FRENCH LIEUTENANT'S WOMAN

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ჯაფარიძემ

© J.R. Fowles, 1969  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015, 2024  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-870-8

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ნებისმიერი ემანსიპაცია ადამიანებს ჰუმანურ გარემოსა  
და ადამიანურ ურთიერთობებს უბრუნებს.

კარლ მარქსი, *Zur Judenfrage* (1844)



დასავლეთისკენ მზერით,  
 მონუსხულივით მუდამ,  
 ზღვას გასცქეროდა ქალი,  
 მარტო იდგა და დუმდა.  
 მზე ანათებდა მწველი,  
 ნვიმა იყო თუ ქარი,  
 იდგა, ცრემლებით სველი,  
 ზღვისკენ ეჭირა თვალი...  
 ზღვას მისი სული სურდა.  
 ტომას ჰარდი, „შარადა“

აღმოსავლეთის ქარი ყველაზე აუტანელი, ალბათ, ლაიმის ყურშია – ინგლისის ამ სამხრეთ-დასავლეთისკენ გაშვერილი ფეხის მოხრილ სახსარში. ჰოდა, დაკვირვებული ადამიანი აუცილებლად გამოიტანდა საგულისხმო დასკვნას იმ წყვილის შესახებ, რომელიც 1867 წლის მარტის მიწურულის სუსხიან დილას ლაიმ რიჯისის სანაპიროზე სასეირნოდ გამოსულიყო. თავად ყურის სახელიც სწორედ ამ პატარა, მაგრამ ძველთაძველი ქალაქის სახელწოდებიდან მოდის.

კობი – თვალუწვდენელი სანაპირო ჯებირი – უკვე მეშვიდე ასწლეულია, იმ ზიზლს იწვევს, რომელსაც ადამიანები ძალიან ნაცნობი და მოყირჩებული საგნების მიმართ გრძნობენ ხოლმე. ბუნებრივია, ლაიმის ძირძველი მოსახლეობა მასში ამჟამად მხოლოდ ჩამოფხავებულ, ნაცრისფერ კედელსა ხედავს, ულაზათო კაუჭივით რომ გამოსდებია ზღვას. თანაც ეს ციცქნა „პირეოსი“ საკმაოდ შორსაა თავადაც მიკროსკოპული „ათენიდან“ (ზემოაღნიშნულ ქალაქს ვგულისხმობ), ჰოდა, მოსახლეობამ მას უდრტივინველად აქცია ზურგი. გასაგებიცაა – საუკუნეებია, ამ უხეირო ნაგებობის შეკეთებაზე უამრავი ფული იხარჯება და ეს ამბავი ყველას ლო-

დივით აწევს გულზე. მაგრამ მათთვის, ვისაც გადასახადები არ ეხება და არც გემოვნება ლალატობს, კობი უთუოდ სანაპირო ზოლის დამცავი ყველაზე მშვენიერი და საინტერესო სიმაგრეა მთელ სამხრეთ ინგლისში. სხვათა შორის, მარტო იმიტომ კი არა, რომ ის (როგორც ტურისტული გზამკვლევეები გვამცნობენ) ქვეყნის ბოლო შვიდი საუკუნის მჩქეფარე ისტორიის მოწმეა, რომ უძლეველ არმადასთან შესარკინებლად სწორედ აქედან გავიდნენ ინგლისური ხომალდები, და რომ მონმაუთმაც აქვე გამოინაპირა, არამედ იმ მარტივი მიზეზითაც, რომ კობი ხალხური შემოქმედების უთვალსაჩინოესი ნიმუში გახლავთ.

თან მარტივი და თან რთული, სპილოსავით ტლანქი, მაგრამ ამავდროულად დახვეწილი კობი ისეთივე გამაოგნებელი, ერთმანეთთან ჰარმონიულად შერწყმული ფორმებით გამოირჩევა, როგორითაც მიქელანჯელოს ანდა ჰენრი მურის ქანდაკებები. დიახ, ბატონებო, კობი ზღვის წყლით გადარეცხილი და კარგად დამარილებული ქვის უზარმაზარი, სუფთა სახით შემონახული მასა გახლავთ! გგონიათ, ვაზვიადებ? იქნებ არც უმაგისობაა... მაგრამ ჩემი სიტყვების გადამონმება ძალიან ადვილია, რადგანაც კობი ახლაც ისეთივეა, როგორიც იმ წელს იყო – საერთოდ არ შეცვლილა. აი, ქალაქი ლაიმი კი ძალიან შეიცვალა. ამიტომ კობიდან დანახული მისი ამჟამინდელი ხედი ჩემ მიერ აღწერილს აღარ დაემთხვევა.

მაგრამ 1867 წელს, ჩრდილოეთისკენ თუ იზამდით პირს და ნაპირს იმ ახალგაზრდა კაცივით გახედავდით, რომელიც თავის ქალბატონთან ერთად სასეირნოდ გამოსულიყო, თვალწინ საოცრად ჰარმონიული პეიზაჟი გადაგემლებოდათ: იქ, სადაც ჯვბირი კვლავ ნაპირისკენ უხვევს, ათობით კოხტა სახლი და მომცრო გემთსაშენი შეყუყულებული, ხარისხაზე შემოდგმული, კიდობნის მსგავსი გემის კორპუსით. აღმოსავლეთით, ნახევარი მილის სიშორეზე, ქალაქის დამრეც ფერდობებზე შეფენილი, შიფერითა და ლერწმით გადახურული სახლების რიგი მოჩანდა; ქალაქისა, რომელმაც ზეობის ხანას შუა საუკუნეებში მიაღწია და მას აქეთ სულ უკან-უკან მიდიოდა.



დასავლეთით, კენჭებით მოფენილ სანაპიროს, რომელზეც მონმართმა გადმოდგა მარცხიანი ფეხი თავისი იდიოტური ავანტიურის წამოსაწყებად, ვეარის ქარაფების სახელით ცნობილი უფმური, რუხი კლდეები გადმოჰყურებს. მათ თავზე და მათ მიღმა კი მალალი, ხშირი ტყის მასივით დაფარული სხვა მთები მოჩანს. სწორედ აქედან დანახული კობი ტოვებს დასავლეთით გავრცელებული ეროზიისაგან დამცავი უკანასკნელი საიმედო წინაღობის შთაბეჭდილებას. გადამონმებას ეს ვერსიაც ექვემდებარება, რადგან დღესაც (სანაპიროზე ჩადგმულ თითო-ოროლა ქოხს თუ არ ჩააგდებთ სათვალავში) იმ მიდამოებში ერთ სერიოზულ ნაგებობასაც ვერ მოჰკრავთ თვალს.

გაფაციცებული ადგილობრივი მოენე (და ასეთი ვინმე მართლაც არსებობდა) სულ ადვილად მიხვდებოდა, რომ ის ორნი – მშვენიერების მაძიებელი – აქაურები არ იყვნენ და, ბუნებრივია, „რალაც ქარი“ მათ კობის სილამაზით ტკობაში ხელს ვერ შეუშლიდა. თუმცა, თუ ის მოენე ჭოგრიტსაც მოიმარჯვებდა და სასეირნოდ გამოსულებს გულდასმით დააკვირდებოდა, იმასაც შენიშნავდა, რომ ახალგაზრდა წყვილს ერთად გასეირნების იდეა უფრო ხიბლავდა, ვიდრე ადგილობრივი არქიტექტურით ტკობის პერსპექტივა, და არც მათი დახვეწილი და უცხო იერი დარჩებოდა შეუმჩნეველი.

ახალგაზრდა ქალი ზედმინევნით მოდურად იყო ჩაცმული – 1867 წელს ხომ სხვა ქარმაც დაუბერა: ძველმოდურ კრინოლინებსა და უკიდევანო ქუდეებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს. ჭოგრიტით მომზირალი თვალი მის მენამულ ქვედატანს შენიშნავდა, რომელიც თვალში საცემად ვინრო და იმდენად მოკლე იყო, რომ თეთრ წინდებში გამოკვართულ ქალის ფეხებს არენდა მუქ მწვანე პალტოსა და შავ ფეხსაცმელს შუა, გრაციოზულად რომ მიაბაკუნებდა ქვაფენილზე. ალბათ, თეთრი ყანჩის ბუმბულით განწყობილი ბრტყელი და მრგვალი ქუდიც მოხვდებოდა თვალში, ბადურით შეკრულ თმაზე რომ ჰქონდა დაკოსებული. ადგილობრივი ბანოვანები ასეთი ქუდეების ტარებას მხოლოდ ერთი წლის თავზე თუ გაბედავ-

დნენ. მაღალ-მაღალი ყმანვილი კაცი კი შესანიშნავ რუხ პალტოში იყო გამოწყობილი და ხელში ცილინდრი ეჭირა. ქილვაშებიც საკმაოდ დაემოკლებინა, რადგანაც აგერ უკვე ორი წელი სრულდებოდა, რაც მამაკაცთა მოდის ინგლისელმა კანონმდებლებმა გრძელი ქილვაშები ვულგარულ ელემენტად, ანუ რაღაც ისეთად გამოაცხადეს, რაც უცხოელის თვალში სასაცილოდ გამოიყურებოდა. ქალის ტანსაცმლის ფერები, დღევანდელი გადასახედიდან, საკმაოდ მყვირალა იქნებოდა, მაგრამ მაშინ მთელი მსოფლიო ჯერ კიდევ უზომოდ აღფრთოვანებული და აღტყინებული იყო სიახლით – ანილინის საღებავების გამოგონებით – ჰოდა, მშვენიერი სქესის წარმომადგენლები, საზოგადოების მიერ დაკანონებული მეტისმეტად თავშეკავებული ცხოვრების წესის კომპენსირების მიზნით, თავშეუკავებლად მყვირალა ფერებს ანიჭებდნენ უპირატესობას.

მაგრამ ჭოგრიტში მომზირალს ყველაზე მეტად ცნობისმოყვარეობას მესამე ფიგურა აღუძრავდა, რკალივით მოხრილი ჩაყამებული ჯებირის კიდეში, ზედ წყლის პირას რომ იდგა, შავებში გამოწყობილი, და ძველებური ზარბაზნის აშვერილ ლულას მიყრდნობოდა, რომელიც ნავმისაბმელის ბოძკინტის როლს ასრულებდა. შავ სამოსელს ქარი გამალებით უფრიალებდა, თავად კი გაუნძრევლად იდგა და ზღვას გაჰყურებდა. ის ფიგურა ზღვაში დაღუპულთა ცოცხალ ძეგლს თუ რაღაც მითურ არსებას უფრო ჰგავდა, ვიდრე პროვინციული ქალაქის უღიმღამო ყოველდღიურობის ერთ-ერთ განუყოფელ ელემენტს.

იმ (1851) წელს ინგლისში 8 155 000 ათი წლისა და მეტი ასაკის ქალზე 7 600 000 ამავე ასაკის მამაკაცი მოდიოდა. აქედან გამომდინარე, სრულიად აშკარაა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ცოლობისა და დედობის მისიით დატვირთულ ვიქტორიანული ეპოქის ქალიშვილთაგან ყველა ვერ დაიდგამდა ოჯახურ უღელს.

*ე. როისტონ პაიკი, „ვიქტორიანული ოქროს ხანის საზოგადოებრივი დოკუმენტები“*

დილით ავუშვებ ვერცხლისფერ აფრას, ჩემი მეგზური ქარი იქნება; შვევებები მზეს ამომავალს, ჩემი მეგზური ქარი იქნება.

მერე იტიროს ამ ჩემმა ქალმა, დე აღვარღვაროს ფუჭი ცრემლები; მერე იტიროს გულამომჯდარმა, როცა წამიღებს შორით დინება.

*ინგლისური ხალხური სიმღერა  
„გზას გასდგომოდა სიღვი“*

– ტინა, ძვირფასო, ვფიქრობ, ნეპტუნს უკვე მივაგეთ საკადრისი პატივი და ნამდვილად აღარ გვინყენს, თუ ზურგს ვაქცევთ და აქაურობას დროულად გავეცლებით.

– მთლად გალანტურად არ გამოგივიდათ.

– რას გულისხმობთ?

– მეგონა, სეირნობის საპატიო მიზეზით გაიხანგრძლივებდით ჩემთან ხელკავით სიარულის სიამოვნებას.

– ამისთვის საპატიო მიზეზები გვჭირდება?

– რა თქმა უნდა! ლონდონში ხომ არ გგონიათ თავი?

– არა, ლონდონში არა... ალბათ უფრო ჩრდილოეთ პოლუსზე...

– მინდა, ჯებირი ბოლომდე გავიარო.

კაცმა ისეთი სასონარკვეთილი მზერა სტყორცნა ხმელეთს, თითქოს სამარადისოდ ემშვიდობებოდა. მერე ისევ ზღვისკენ იბრუნა პირი და წყვილი კობისკენ სავალ გზას დაადგა.

– და ისიც მინდა, რომ დეტალურად მიამბოთ, მამაჩემს რაზე ესაუბრეთ გასულ ხუთშაბათს.

– დეიდათქვენმა უკვე წვრილად დამკითხა იმ დაუფინყარ სა-  
ლამოსთან დაკავშირებით.

ქალი გაჩერდა და ჯიქურ ჩახედა კაცს თვალებში.

– ეგეთები არ იყოს, ჩარლზ! სიტყვას ბანზე ნუ მიგდებთ, ჩემ-  
თან არ გაგივათ, ასე ადვილად არ დაგეხსნებით.

– მეც ეგ მინდა, ძვირფასო, ნუ დამეხსნებით. მალე ვიქორნი-  
ნებთ და ნახავთ – საერთოდ ველარ დაგეხსნებით ერთმანეთს!

– ეგ მდარე იუმორი თანაკლუბელებისთვის შემოინახეთ!

ამ სიტყვებით ახალგაზრდა ქალმა მოჩვენებითი წყრომით მი-  
მართა კაცს და ლამის ძალით ააჩქარებინა ფეხი. – წერილი მივიღე.

– სწორედ მაგის მეშინოდა... დედამ მოგწერათ?

– ვიცი, რომ სადილის მერე რალაც მოხდა...

კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს, ვიდრე ჩარლზი ხმას  
ამოიღებდა. თავიდან გადანყვიტა, სერიოზული პასუხი გაეცა ქა-  
ლისთვის, მაგრამ მერე გადაიფიქრა.

– ვალიარებ, მე და მამათქვენს პატარა ფილოსოფიური წაკა-  
მათება მოგვივიდა.

– ღმერთო, რა სიგიჟეა!

– მე კი მეგონა, გულწრფელობა ნორმალური საქციელია-მეთ-  
ქი.

– მაინც რაზე იკამათეთ?

– მამათქვენმა გადაჭრით ბრძანა, ბატონი დარვინი ზოოპარ-  
კის გალიაში უნდა ჩაამწყვდიოს კაცმა, მაიმუნებთან ერთად. ვე-  
ცადე, აზრი შემეცვლევინებინა, რამდენიმე სამეცნიერო არგუმენ-  
ტიც კი მოვუყვანე, დარვინიზმს რომ დაედო საფუძვლად, მაგრამ  
კოვზი ნაცარში ჩამივარდა. Et voila tout.

– კი, მაგრამ... მამაჩემის შეხედულებები ხომ იცოდით? რა სა-  
ჭირო იყო...

– ძალიან კორექტული ვიყავი.

– რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლომდე გათელეთ.

– მითხრა, იმ კაცს როგორ გავატან ქალს, რომელიც ფიქრობს, რომ ბაბუამისი მაიმუნი იყო... თუმცა, ალბათ, დაფიქრდება და იმასაც აუცილებლად გაითვალისწინებს, რომ ბაბუაჩემი ტიტულოვანი მაიმუნი ბრძანდებოდა.

ქალს ნაბიჯი არ შეუწელებია, ისე გახედა თანამგზავრს და მერე სწრაფად მიიბრუნა პირი, გვერდზე გადახრილი თავით, რაც იმას ნიშნავდა, რომ აფორიაქდა. კაცის სიტყვებმა ის მტკივნეული დეტალი შეახსენა, რომელიც, ქალის აზრით, ყველაზე მეტად უშლიდა ხელს მათ შეუღლებას – ქალის მამა ძალიან მდიდარი კაცი იყო, მაგრამ ბაბუა უბრალო, ფართლეულით მოვაჭრე ყოფილა. ჩარლზის ბაბუა კი ბარონეტი ბრძანდებოდა. ჩარლზს გაელიმა და ქალს მარცხენა მკლავში გაყრილ ხელთათმინიან ხელზე ნახად მოუჭირა თითები.

– საყვარელო, ამაზე ხომ ბევრი გვისაუბრია. ღმერთმანი, ძალიან ვაფასებ, მამის რიდი რომ გაქვთ, მაგრამ მე მამათქვენზე კი არა, თქვენზე ვქორწინდები. ჰოდა, ნუ გავინყებთ, რომ მეცნიერი ვარ... ყოველ შემთხვევაში, სამეცნიერო მონოგრაფიის ავტორი ნამდვილად ვარ... და ამაზე ასე ირონიულად თუ ჩაგელიმბათ ხოლმე, იცოდეთ, მთელ ჩემს დროსა და ყურადღებას გაქვავებულ ნამარხებს დავუთმობ!

– გაქვავებულ ნამარხებზე ეჭვიანობას ნამდვილად არ ვაპირებ, – თქვა ქალმა და ამ სიტყვებს მრავლისმეტყველი პაუზა მოაყოლა. – მით უფრო, რომ კარგა ხანია, ფეხქვეშ თელავთ და სულაც არ გენაღვლებათ.

კაცმა მაშინვე დაიხედა ძირს და სასწრაფოდ დაეშვა მუხლებზე. კობი, ნაწილობრივ, მართლაც ნამარხებით მდიდარი ქვებით იყო მოკირწყლული.

– ღმერთო ჩემო! ნახეთ!.. ეს ქვა მართლაც პორტლენდის ოოლითია – *Certhidium portlandicum!*

– ეს უკვე მეტისმეტია, ჩარლზ! ან ახლავე ნამოდგებით ფეხზე, ან შეეგუეთ იმ აზრს, რომ სიცოცხლის ბოლომდე პორტლენდის ქვის სამტეხლოში კატორლას მოგისჯით! – კაცს გაელიმა და

მაშინვე უყოყმანოდ დაემორჩილა ქალის ბრძანებას. – ახლა მაინც დააფასეთ, აქეთ რომ წამოგიყვანეთ!.. აი, შეხედეთ, – უთხრა ქალმა და ჯვებირის იმ კიდესთან მიიყვანა, სადაც კედელში რამდენიმე ბრტყელი ქვა დაეტანებინათ. იმ ქვებით გაკეთებული სახელდახელო კიბით ჯვებირის ქვედა იარუსზე ჩასვლა შეიძლებოდა. – იცით ეს რა საფეხურებია? ჯეინ ოსტინმა, თავის „დარწმუნებაში“, სწორედ აქედან დააგორა ლუიზა მასგროუვი.

– ძალიან რომანტიკულია.

– ჯენტლმენები, ერთ დროს, მართლაც ძალიან რომანტიკულები იყვნენ.

– ახლა კი სწავლულები გახდნენ, არა?.. ეს სარისკო დაშვება ჩვენც ხომ არ მოგვესინჯა?

– უკანა გზაზე მოვსინჯოთ.

წყვილი კვლავ კობის ქვაფენილს შეუყვავა და კაცმა მაშინდა შენიშნა ჯვებირის ბოლოს მდგომი ქალის ფიგურა. უფრო სწორად, მიხვდა, რომ ქალი იქნებოდა.

– ღმერთო, შენ მიშველე!.. მეთევზე მეგონა და თურმე ქალი ყოფილა!

ერნესტინამ თვალები მოჭუტა და სივრცეს გახედა. მისმა მშვენიერმა, მონაცრისფრო ბეცმა თვალებმა მხოლოდ რაღაც შავი ლაქა დალანდეს მოშორებით.

– ქალია? ახალგაზრდა?

– მაგდენს ვერ ვარჩევ.

– მივხვდი, ვინც იქნება. ნამდვილად ის სანყალი „ტრაგედია“.

– ტრაგედია?

– ჰო, ასე ეძახიან. მისი ერთ-ერთი მეტსახელია.

– სხვა მეტსახელებიც აქვს?

– მეთევზეები უხამსი სახელითაც იხსენიებენ ხოლმე.

– ჩემო ძვირფასო, შეგიძლიათ...

– ფრანგი ლეიტენანტის... საყვარელი შეარქვეს.

– მართლა? და ამის გამო ისე შეაჩვენეს, რომ დღედაღამ აქა დგას ეს საცოდავი?

– ეგ საცოდავი... მოკლედ, ცოტა ვერ არის ჭკუაზე... უკან გავბრუნდეთ, ახლოს ნუ მივალთ.

გაჩერდნენ. ჩარლზი ყურადღებით დააკვირდა შავებში გახვეულ ფიგურას.

– ინტერესით ვკვდები... ეგ ფრანგი ლეიტენანტი ვილაა?

– ამბობენ, ის კაცი...

– შეუყვარდაო?

– უარესი.

– მიატოვა? ბავშვით?

– არა, ბავშვზე არაფერი ვიცი... და, საერთოდ, ჭორებია ეგ ყველაფერი.

– აქ რა ჯანდაბას აკეთებს?

– ამბობენ, მის დაბრუნებას ელოდებო.

– ნუთუ... პატრონი არა ჰყავს? არც ახლობლები?

– მოხუც მისი პოულტნის ემსახურება. იქ რომ მივდივართ ხოლმე, არ გვენახვება, მაგრამ ვიცი, რომ მასთან ცხოვრობს... ძალიან გთხოვთ, უკან გავბრუნდეთ. ვერ შევნიშნე, თორემ...

კაცს გაელიმა.

– მოულოდნელად თავს თუ დაგესხმებათ, პირობას გაძლევთ, დაგიცავთ და ამით ჩემს ეჭვქვეშ დაყენებულ გალანტურობას დაგიმტკიცებთ. ნამოდით, ნუ გეშინიათ!

ისინი ზარბაზნის ლულასთან მდგომ ქალს მიუახლოვდნენ. ქალს მოხდილი ქუდი ხელში ჩაებლუჯა და შეკრული თმა შავი პალტოს მაღალ საყელოში ჩაემალა. თავად პალტო კაცის სამხედრო ლაბადას უფრო ჰგავდა, ვიდრე ქალის (თუნდაც ბოლო ორმოცი წლის განმავლობაში შეკერილ) სამოსელს. კრინოლინზე მასაც უარი ეთქვა, მაგრამ იმიტომ არა, რომ მოდიდან გადავარდა; უბრალოდ, არ ენაღვლებოდა, რა ეცვა. ჩარლზმა რაღაც გაცვეთილი ფრაზა წამოისროლა ხმამაღლა, რომ ქალისთვის ეგრძნობინებინა, მოგიახლოვდითო. მაგრამ ქალმა ყურადღება არ მიაქცია, მათკენ არ მობრუნებულა. წყვილმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უკვე ქალის პროფილი და ჰორიზონტისკენ სწაიპერივით დამიზნე-

ბით მაცქერალი თვალები დაინახა. უცებ ქარმა ახალი ძალით დაუბერა და ჩარლზი აიძულა, ერნესტინასთვის მაგრად მოეხვია წელზე ხელი. შაოსანი ქალი კი ზარბაზნის ლულას ჩააფრინდა.

როგორც კი ქარი ოდნავ ჩადგა, ჩარლზი უნებლიეთ (ან ერნესტინასთვის თავისი გამბედაობის დამტკიცების მიზნით) წინ წავიდა.

– ქალბატონო, თქვენი აქ დარჩენა ძალიან სარისკოა. საკმარისია, ქარმა ისევ...

ქალი მობრუნდა და ჩარლზს შეხედა. უფრო სწორად, ჩარლზს მოეჩვენა, თითქოს ქალმა სულაც ვერ შენიშნა (გამჭვირვალე საგანივით) და მის მიღმა სივრცეს გაუსწორა თვალი. ამ პირველი შეხვედრიდან ქალის სახის ნაკვთები კი არ დაამახსოვრდა, არამედ მისი სახის ის გამომეტყველება, რომლის დანახვასაც საერთოდ არ ელოდა; მაშინ ხომ სუსტი სქესის წარმომადგენელთა სტერეოტიპული ხატი, ყველას თვალში, თვით კდემამოსილების, თავმდაბლობისა და მორჩილების განსახიერება იყო. ჩარლზს უმაღლვე ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს სხვისი საკუთრება ხელყო; თითქოს კობი ძველთაძველი ქალაქის კი არა, ამ შაოსანი მანდილოსნის პირადი საკუთრება იყო. ქალი სულაც არ გამოირჩეოდა სილამაზით, როგორც, მაგალითად, ერნესტინა. არც მშვენიერი ეთქმოდა, თუნდაც რომელიმე სხვა ეპოქის სტანდარტების გათვალისწინებით, მაგრამ სრულიად დაუვინყარი და შთამბეჭდავად ტრაგიკული სახე ჰქონდა. მწუხარება ისე ბუნებრივად და თავისთავად იღვრებოდა მისი თვალებიდან, როგორც ტყეში კლდიდან გადმოჩუხჩუხებული ანკარა წყარო. მის გამომეტყველებას არავითარი სიყალბის, თვალთმაქცობის, ისტერიულობისა თუ ფარისევლობის კვალი არ აჩნდა და, რაც მთავარია, სიგიჟისაც არაფერი ეტყობოდა. სიგიჟე მხოლოდ იმ ცარიელ ზღვაში, ცარიელ ჰორიზონტსა და თითქოსდა უსაგნო მწუხარებაში მდგომარეობდა; თითქოს ეს წყარო, თავისთავად, სრულიად ჩვეულებრივად გამოიყურებოდა, მაგრამ უჩვეულო ის იყო, რომ ტყეში კი არა, უდაბნოში მოჩქეფდა.

მოგვიანებით ჩარლზი დაუსრულებლად იხსენებდა ქალის გამოხედვას და ლახვარს ადარებდა. ასეთი შედარების საფუძველი



მხოლოდ თავად ლახვრის არსიდან კი არ გამომდინარეობდა, არამედ იმ შედეგიდანაც, რაც მის გამოყენებას მოჰყვა – იმ გამოხედვამ ჩარლზი მძიმედ დაჭრა, თავი დამარცხებულ მტრად და, ამავდროულად, უბადრუკ მოლალატედ აგრძნობინა, რომელიც დამსახურებულად დაამცირეს და მიწასთან გაასწორეს.

შაოსან ქალს კრინტი არ დაუძრავს. ჩარლზს ორ-სამ წამს უყურა და ისევ სამხრეთს გაუშტერა თვალი. ერნესტინამ საქმროს სახელოზე მოქაჩა. ისიც მოტრიალდა და გაკვირვებულმა ღიმილით აიჩეჩა მხრები. სანაპირო ზოლს რომ მიუახლოვდნენ, ჩარლზმა მაშინღა ამოიღო ხმა:

– ნეტა მაგ ბინძური მითქმა-მოთქმის ამბები არ მოგეყოლათ ჩემთვის. პროვინციული ცხოვრების უბედურება სწორედ ეგ არის – ყველა ყველას იცნობს, ყველამ ყველაფერი იცის... არავითარი იდუმალეობა და რომანტიკა!

– აკი მეცნიერი ვარ და რომანები რა ჩემი საქმეაო? – ხუმრობით გაკენწლა ერნესტინამ.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის მოსაზრებაა, რომ ნებისმიერი ცოცხალი არსების ძირითადი მახასიათებლები მემკვიდრეობითია. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ცოცხალი ორგანიზმი მშვენივრად ეგუება საკუთარ ბუნებრივ გარემოს, ბევრ მათგანს მაინც არა აქვს ძალიან მჭიდრო და უშუალო კავშირი ცხოვრების თანამედროვე პირობებთან.

*ჩარლზ დარვინი, „სახეობათა წარმოშობა“ (1859)*

ჭკვიანი ადამიანი, ჩვენი ისტორიის ყველა დეკადიდან, უთუოდ 1850-იან წლებში მოინდომებდა ახალგაზრდობის გატარებას.

*ჯ. მ. იანგი, „ეპოქის პორტრეტი“*

ნასამხრალს სასტუმრო „თეთრ ლომში“ დაბრუნებული ჩარლზი სარკეში საკუთარი გამოსახულების შესწავლას შეუდგა. თავში იმდენად ბუნდოვანი და აბურდული აზრები უტრიალებდა, რომ მათი აღწერა წარმოუდგენელია. ერთი კი ცხადია – მის ფიქრებს რალაც იდუმალი მარცხის განცდა სდევდა, რომელიც კობის ინციდენტს კი არა, უფრო იმ ტრივიალურ სისულელეებს ეხებოდა, დეიდა ტრენტერთან სამხრობისას რომ იბუფტურა; ცხადია, იმასაც, რომ რაღაცებს ნაუყრუა და ხმა არ ამოიღო, და იმაზე ტვინის ჭყლეტასაც, იყო თუ არა პალეონტოლოგიისადმი მისი ცხოველი ინტერესი მისივე ბუნებრივი მონაცემების შესაფერი. ისიც აწუხებდა, ერნესტინა ოდესმე თუ შეძლებს ისევე კარგად გამიგოს, როგორც მე მესმის მისიო. მოკლედ, საკუთარი არსებობის უმიზნობისა და უზადრუეობის გაუგებარი შეგრძნება დაუფლებოდა, რომელიც, როგორც ბოლოს დაასკვნა, იქნებ, სულაც იმით იყო გამოწვეული, რომ წინ უსაშველოდ გრძელი და აშკარად ძალიან

წვიმიანი დღე ელოდა... კი, კი, ნამდვილად ეგ იქნებოდა მიზეზი – ჯერ ხომ მხოლოდ 1867 წელი იდგა, ანუ ჩარლზი სულ რაღაც 32 წლის ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცი გახლდათ... ცხოვრებისეულ კითხვებს რაც შეეხება, მისთვის არც ეს იყო უცხო ხილი; ისინი ყოველთვისაც ანუხებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩარლზს ძალიან სიამოვნებდა საკუთარი თავის ნამდვილ მეცნიერად წარმოდგენა და მაინცდამაინც არც ის გაუკვირდებოდა, მომავლიდან აეროპლანების, რეაქტიული ძრავების, ტელევიზიისა და რადარების ამბები რომ მოსვლოდა, ერთი რამ უკიდურესად გააოცებდა: თვით დროის მიმართ ადამიანების დამოკიდებულების შეცვლა. ჩვენი საუკუნის უდიდესი უბედურება დროის უკმარისობის განცდაა. სწორედ ეს განცდა (და არა მეცნიერული პროგრესისადმი ერთგულება ანდა გონიერება) გვაიძულებს, ამდენი დრო, ენერჯია და სახელმწიფო ბიუჯეტი დროის დამზოგავი დანადგარებისა და საშუალებების გამოგონებაზე ვხარჯოთ; გეგონება, კაცობრიობის საბოლოო მიზანი უზენაესი ჰუმანურობის მიღწევა კი არა, ელვისებური სისწრაფის განვითარება არისო. მაგრამ ჩარლზის, ისევე, როგორც მისი თანამედროვე და მისივე საზოგადოებრივი სტატუსის მქონე ადამიანთა უმრავლესობის, ცხოვრება, შეიძლება ითქვას, ადაჯოს ტემპით მიმდინარეობდა. მათი ძირითადი პრობლემა საკეთებელი საქმის დროში ჩატევა კი არ იყო, არამედ პირიქით – მისი ისე განელვა, რომ როგორმე ამოევისოთ უსაქმურობის უსასრულო მონაკვეთები.

ჩვენს დროში შეძლებულობის ყველაზე დამახასიათებელი სიმპტომი გამანადგურებელი ნევროზია, ჩარლზის ეპოქაში კი გამანადგურებელი მონყენილობა გახლდათ. მართალია, იმ ეპოქას 1848 წლის რევოლუციის ტალღა და უკვე ამონყვეტილ ჩარტისტთა ხსოვნა ჯერ კიდევ ვულკანივით წამოსდგომოდა თავზე, მაგრამ ბევრისთვის (და, მათ შორის, ჩარლზისთვისაც) ნიშანდობლივი სწორედ ის იყო, რომ ამ ვულკანმა მიიძინა და ამოფრქვევას აღარ აპირებდა. 60-იანი წლები საკმაოდ დოვლათიანი აღმოჩნდა. კეთილდღეობამ, რომელსაც ხელოსნებმა და თვით სამრეწველო სა-

წარმოების მუშებმაც კი მიაღწიეს, საბოლოოდ აღმოფხვრა მათი გულებიდან რევოლუციური განწყობა; ყოველ შემთხვევაში, დიდ ბრიტანეთში ნამდვილად ასე მოხდა. ალბათ ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ჩარლზს წარმოდგენა არ ჰქონდა იმ სწავლულ გერმანელ ებრაელზე, ვინც ზუსტად იმ დღეს ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში იჯდა და მშვიდად მუშაობდა, და ვისმა სწორედ ამ დანესებულების მოღუშულ კედლებში შეთხზულმა ნაშრომმაც ესოდენ დიდი გავლენა მოახდინა მთელი კაცობრიობის მომავალზე. კიდევ რომ გეტქვათ მისთვის ეს ამბავი, მაინც არ დაგიჯერებდათ. მიუხედავად ამისა, იმ 1867 წლის მარტიდან ზუსტად ექვსი თვის თავზე ჰამბურგში „კაპიტალის“ პირველი ტომი გამოჩნდა.

კიდევ უამრავი პირადული ხასიათის მიზეზიც არსებობდა, რომელთა გამოც ჩარლზი პესიმისტის ხელსაყრელ როლს ვერ მოიხრებდა. ჩარლზის ბარონეტი ბაბუა ორ დიდ კატეგორიად – კლარეტისადმი ერთგულ მელიებზე მონადირეებად და ყველაფრის შემგროვებელ სწავლულებად – დაყოფილი ინგლისელი სოფლის სკვადირების მეორე კატეგორიას ეკუთვნოდა. ბაბუა ძირითადად წიგნებს აგროვებდა, მაგრამ მოგვიანებით დიდი თანხები და ოჯახის წევრთა ნერვები იმ უწყინარი ბორცვების არქეოლოგიურ გათხრებს შეაღია, მისი კუთვნილი მიწის სამი ათას აკრზე რომ წამოეყოთ თავი უილტშირის საგრაფოში. სრულიად უმოწყალოდ ნადირობდა კრომლეხებსა და მენჰირებზე, კაჟის იარაღებსა და ნეოლითის ხანის სამარხებზე. მისმა უფროსმა ვაჟმა კი, მემკვიდრეობის მიღებისთანავე, ამდენადვე უმოწყალოდ გაზიდა შინიდან მამის მთელი პორტატული ნადავლი. ჰოდა, ამ საქციელისათვის ღმერთმა დასაჯა (ან იქნებ, პირიქით, დააჯილდოვა) კიდევაც იმით, რომ ოჯახის შექმნა არ აღირსა.

მოხუცის უმცროს ვაჟს, ჩარლზის მამას, საკმაოდ სოლიდური მემკვიდრეობა ერგო – ფულიც ბლომად დარჩა და მიწაც. მის ცხოვრებაში ერთჯერადი, მაგრამ ძალიან დიდი ტრაგედია მოხდა – ერთდროულად დაკარგა ახალგაზრდა ცოლიცა და შვილიც, ერთი წლის ჩარლზის ახალშობილი დაიკო. მაგრამ დარდს როგორღაც